სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი)

დადგენილება № 01-06-02/31

ქ. თბილისი 6 აგვისტო 2020

სტუ-ის ცენტრის – „ტექნიკური ექსპერტიზა და უსაფრთხოება მშენებლობაში“ – გაუქმების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-11 მუხლის, სტუ-ის ცენტრის – „ტექნიკური ექსპერტიზა და უსაფრთხოება მშენებლობაში“ უფროსის, ელინა ქრისტესიაშვილის 2020 წლის 22 ივლისის №0000624185 წერილისა და წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) 2020 წლის 6 აგვისტოს №01-06-02/08 ოქმის საფუძველზე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითმა საბჭომ (სენატი) გამოკითხვის წესით დაადგინა:

1. გაუქმდეს სტუ-ის თვითდაფინანსებაზე მყოფი ცენტრი „ტექნიკური ექსპერტიზა და უსაფრთხოება მშენებლობაში“;
2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №6.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი)

სპიკერი, პროფესორი **ჯემალ გახოკიძე**